maia kezevadze <kezevadzemaia@gmail.com>

პასუხი ყველას |

დღეს, 01:12
Irakli Goglichidze

მოგესალმებით ირაკლი
ძალიან დიდი მადლობა ნდობისათვის.
შეძლებისდაგვარად გიპასუხებთ .
1) პრობლემა რომელიც ეკოლოგიური თვალსაზრისით იკვეთება ქალაქ ქუთაისში პირველ რიგში ნარჩენების მდგრადი მართვაა, მოსახლეობა ჯერ კიდევ ვერ ითავისებს რამდენად საზიანოა, არასწორად გადაყრილი ნარჩენები, დაბინძურებულია მდინარის სანაპიროები, ნაგავსაყრელი რომელიც ქუთაისში მდებაროებს,არასწორ ადგილზეა შერჩეული, ბაზრის მიმდებარე ტერიტორია მუდმივად უკონტროლოა, წყალი რომელიც ქალაქს მიეწოდება ხშირ შემთხვევაში გამსაკუთრებით ნალექიან ამინდებში მღვრიე მოედინება ონკანში.
მწვანე სივრცეები ცენტრალურ ადგილებში მოვლილი და გალამაზებულია, რასაც ვერ ვიტყოდი გარეუბნებზე,კარგი იქნებოდა გარეუბნების მწვანე სივრცეები, სკვერები მეტად მოვლილი ყოფილიყო.
ძირითად პრობლემად მაინც მდინარის სანაპიროებს გავუსვამდი ხაზს.
2) ორგანიზაცია სენი-CENN აქტიურად მუშაობს იმერეთის რეგიონში ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრაში, ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობით განაშენიანდა გაპონოვის სახელობის სკვერი,ნიკეაზე შეიქმნა მწვანე ბაღი, ძალიან ბევრჯერ ჩატარდა დასუფთავების აქციები მდინარის სანაპიროებზე, რამდენიმე საჯარო სკოლას გადაეცა საჩუქრად მწვანე ურნები, ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლებსა და უნივერსიტეტებში ჩატარდა ვორქშოპები სხვადასხვა თემატიკაზე, ჩატარდა კვლევა ტყის მდგრად მართვაზე.ამჟამად მიმდინარე პროექტი, რომელიც მდგრადი გამვითარების მიზნებს უკავშირდება, პრიორიტეტული თემაა ეკოლოგია, პროექტი საწყის ეტაპზეა და იგეგმება ბევრი აქტივობები.
3)სმარტ ეკო-ქალაქის გარდაქმნის პროცესს ჩემი აზრით კარგად წარუძღვება , ახალგაზრდები,(იმიტომ რომ მათ აქვთ მოტივაცია სიახლეების დანერგვის, უნდათ იცხოვრონ სიახლეში და მუდმივად ეძებენ ახალ გამოწვევებს.) აქტივისტები(ისინი აქტიურად ერთვებიან საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში, მათი მიზანია საოგადოებას მიაწოდონ სწორი აზრი)
4)საქართველოში ვერ ვიხსენებ ვერ ერთ ქალაქს რომელიც ქუთაისზე უკეთესი ეკო გარემო აქვს, ყველა ქალაქს თითქმის ერთმაირი ეკო-პრობლემები გააჩნია, ზედმეტ ნაკლებად.თუმცა თბილისში მომწონს ახალი მზიურის პარკი, ვაკის პარკი, სადაც ევრო სტანდარტებზეა შექმნილი ეკო-სისტემა.
5)ჩემი რეკომენდაცია იქნებოდა ალბათ ისევ და ისევ ნაგავსაყრელის ადგილის შეცვლა, და ეკოლოგიურად გამართული ნაგავსაყრელის შექმნა.
აუცილებელია ძალიან ბევრ ადგილას იყოს მწვანე ბანერები უმჯობესი იქნებოდა ღამის განათებითაც , ყველა ბანერზე სხვადასხვა ტიპის ეკო მიმართვები, კარგი იქნება ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული ფლეშ მობები, და ყველაზე დიდი ტკივილი ქალაქის ცენტრში მდებარე სველის წერტილების სათანადოდ მოვლა.
მადლობა თანამშრომლობისთვის
პატივისცემით მაია კეზევაძე

1. თქვენი აზრით ქუთაისში რა პრობლემების ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიის ან მდგრადობის თვალსაზრისით? (ნარჩენები, დაბინძურება, სუფთა წყალი, განახლებადი ენერგია და საწვავი, ორგანული საკვები, მწვანე სივრცეები ქალაქში, ბუნებრივი ჰაბიტატების და სახეობების გაქრობა და სხვა....)
2. შეგიძლიათ მოიყვანოთ თქვენი ორგანიზაციის/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიების კამპანიის მაგალითი, რომელიც პოპულარული გახდა ადგილობრივ მოსახლეობაში? რომელმაც რეზონანსი გამოიწვია ხალხში?
3. მოსახლეობის რომელი ჯგუფი გაუძღვებოდა საუკეთესოდ სმარტ ეკო ქალაქად გარდაქმნის პროცესს? (ახალგაზრდები, ასაკოვანი ადამიანები, ბიზნესი, მასწავლებლები, ხელოვნების მუშაკები, აქტივისტები, მშობლები და სხვა) რატომ ეს ჯგუფი?
4. შეგიძლიათ გაიხსენოთ სხვა ქალაქი (საქართველოში ან მის გარეთ) (რომელიც შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს ქუთაისისთვის? რატომ აირჩიეთ ეს ქალაქი?
5. თქვენი სურვილის შემთხვევაში მოგვაწოდეთ ამ სფეროსთან დაკავშირებით თქვენი ნებისმიერი აზრი, წინადადება, რეკომენდაცია, კვლევები და ა.შ.

პასუხები

1. ჩამოთვლილთაგან უმეტესი მათგანი ქალაქის წინაში არსებულ გამოწვევებს წარმოადგენს, მაგრამ გამოვყოფთ ჰაერის დაბინძურების მაღალ მაჩვენებელს ქალაქის ცენტრალურ უბნებში და ნარჩენების მართვა. ნარჩენების მართვა ჩვენს ქალაქში ამ ეტაპზე შემოიფარგლება მათი შეგროვებითა და ქალაქგარეთ ტრანსპორტირებით. შედეგად ნარჩენები კონცენტრირებული ღია ცის ქვეშ და ქარის დროს ხდება მათი მიმოფანტვა. საკმარისია გავიხსენოთ პოლიეთილენის პარკებით „მორთული“ ხეები. ამას ემატება პრობლემა, რომ ძირითადად ხდება ნარჩენების მიწაში დამარხვა. რადგან ნარჩენს ვერ ხედავ და სუნს ვერ გრძნობ არ ნიშნავს რომ არ აზიანებს. პირიქით დამარხვით ზიანდება ნიადაგი და მიწისქვეშა წყლები. გამოსავალი?! დიფერენცირებული შეგროვება სახეობების მიხედვით და ნარჩენების რეციკლირება, მეორადი პროდუქციის წარმოება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის ცნობიერების ამაღლება, სამოტივაციო ღონისძიებების მოფიქრება და სტიმულირება.
2. გარემოსდაცვითი ღონისძიების კამპანიის თვალსაზრისით ჩვენი ორგანიზაცია პერიოდულად იღებდა სხვადასხვა დასუფთავების აქციებში მონაწილეობას.
3. სმარტ ეკო ქალაქად გარდაქმნის პროცესს ჩვენი აზრით ყველაზე ეფექტურად წარმართავს ახალგაზრდული ჯგუფი, ვინაიდან ამ ასაკობრივ ჯგუფს დანარჩენ სხვა ჯგუფთან შედარებით ყველაზე მეტად აქვს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ინფორმაციებთან და შესაბამისად აღნიშნული სიახლის მიმართ მიმღებლობა ამ ჯგუფში გაცილებით მაღალი იქნება, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს მათ მიერ საზოგადოების სხვა ჯგუფებზე გავრცელებას.

4. ჩვენი აზრით ქუთაისისთვის კარგ მაგალითს წარმოადგენს ბერლინი, რომელიც ამ კუთხით საუკეთესო ქალაქებს შორის არის, სადაც უმაღლეს დონეზეა მუნიციპალური ტრანსპორტი განვითარებული, აგრეთვე მოსახლეობის უმეტესი ნაწილის არჩევანია ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით გადაადგილება, ქალაქში მრავლად გხვდება მწვანე ზონები, მუდმივად ინერგება და ფართოვდება განახლებად ენერგიაზე ორიენტირებული ტექნოლოგიები.
5. სასურველი იქნება ქალაქს ქონდეს ურბანული განვითარების გენ.გეგმა სადაც სწორად და მკაცრად იქნება განსაზღვრული ქალაქის ზონალური დაყოფა, სადაც ზონების მიხედვით იქნება განსაზღვრული მწვანე სივრცეების მოწყობისა თუ სხვადასხვა ობიექტებისა და დაწესებულებების განთავსება, რაც ხელს შეუწყობს ეკოლოგიის გაჯანსაღებას, ცენტრალური ქუჩების განტვირთვას და გამოიწვევს ქალაქის თანაბარზომიერ განვითარებას.

ა(ა)იპ „ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ცენტრი“ (EGDC)
ტელ: 599 061 062
ელ–ფოსტა: 4info.egdc@gmail.com

1. **თქვენი აზრით ქუთაისში რა პრობლემების ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიის ან მდგრადობის თვალსაზრისით? (ნარჩენები, დაბინძურება, სუფთა წყალი, განახლებადი ენერგია და საწვავი, ორგანული საკვები, მწვანე სივრცეები ქალაქში, ბუნებრივი ჰაბიტატების და სახეობების გაქრობა და სხვა....)**

პასუხი

- დღეს ქუთაისისთვის ისევე როგორც საქართველოს სხვა უმსხვილესი ქალაქებისთვის მთავარი გამოწვევა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება. ბოლო წლებში NO_x–ის კუთხით სიტუაცია გამოუმჯობესებულია რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, ძველი მანქანებისა და საწვავზე დაწესებული განბაჟების და აქციზური გადასახადების ზრდით, ხოლო მეორეს მხრივ, საგადასახადო პოლიტიკით. ასევე განსაკუთრებულად საყურადღებოა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება სამრეწველო სექტორიდან, საწარმოთა უდიდეს რიცხვს არ გააჩნიათ თანამედროვე ფილტრაციის სისტემები, რათა მინიმუმანდე დაყვანილი იყოს გარემოზე ნეგატიური ზემოქმედებები.
- ასევე პრობლემაა ქალაქის მდინარეების წყლის დაბინძურება გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვება წყლის ობიექტებში, რაც წყლის ობიექტების მძიმე ლითონებით და სხვა დამბინძურებლებით დაბინძურებას იწვევს. პრობლემაა ასევე წყალარინების ქსელების მძიმე მდგომარეობა;
- ბოლო წლების განმავლობაში ქუთაისში ნარჩენებთან დაკავშირებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა თუმცა, კვლავ რჩება გადასაწყვეტი საკითხები როგორც ეროვნულ, ისე მუნიციპალურ დონეზე. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა არსებული ნაგავსაყრელის ექსპლუატაციისა და დახურვის უზრუნველყოფა და ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის ხელშეწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად (ეს საკითხი წარმოადგენს შპს „საქართველოს ნარჩენების მართვის კომპანიის“ კომპეტენციას და არა მუნიციალიტეტის). მნიშვნელოვანია ძველი ნაგავსაყრელის სათანადო კონსერვაციის/აღდგენის უზრუნველყოფა იმისათვის, რომ აღმოფხვრილი და მინიმუმამდე დაყვანილი იყოს ნაგავსაყრელებიდან მომდინარე ეკოლოგიური საფრთხე.

2. **რა ნაბიჯები უნდა გადადგას პირველ რიგშ ქალაქმა რათა სმარტ ეკო ქალაქი გახდეს?**

პასუხი

- უნდა მოხდეს საცხოვრებელი ფონდის მოდერნიზება და თითქმის ნულოვანი ენერგომოხმარების ენერგოეფექტური სახლების მშენებლობის სტანდარტის დანერგვა
- ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება საჯარო შენობებში
- განახლებადი ენერგიის გამოყენებით ფუნქციონირებადი ენერგოეფექტური ურბანული ინფრასტრუქტურის დანერგვა

- მოხდეს საწარმოთა დავალდებულება რომელთაც არ გააჩნიათ თანამედროვე ფილტრაციის სისტემები ამასთან დაკავშირებით, შესაძლოა დაწესდეს მცირე სანქციები ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გამო.
- გარდა ამისა, მიზანშეწონილია მცირენარჩენიანი წარმოებების და ნარჩენების მეორადი გადამუშავების წახალისება საწარმოებებისთვის მატერიალური სტიმულირების მექანიზმის შემუშავების გზით.
- საჭიროა მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩამდინარე წყლების შემკრები და გამწმენდი სისტემის მოდერნიზაციის მიზნით.
- ქალაქის საკანალიზაციო ქსელის, ჩამდინარე წყლების შემკრები კოლექტორის და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა/რეაბილიტაცია.
- მოხდეს სამრეწველო საქმიანობის კონტროლი წყალჩაშვებაზე.
- ქალაქის ფარგლებში ღია მწვანე სივრცეების ეფექტური სისტემის შექმნა.
- ურბანული დაცული ტერიტორიის შექმნა (ქალაქის სამხრეთით მდებარე ტყის მასივი) და მისი დაკავშირება ურბანულ მწვანე კარკასთან.

3. ქუთაისში რომელ ბიზნეს სექტორებს აქვთ უდიდესი პოტენციალი მწვანე გარდაქმნის გაძღოლისათვის.

პასუხი

- ამ სოციალური პასუხისმგებლობაში ჩართული უნდა იყოს სამი მხარე: თვითმმართველობა, ბიზნესი და საზოგადოების ყველა წარმომადგნელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნესის აქტიური ჩართულობა, სამშენებლო სექტორი იქნება გადამწყვეტი სიტყვის მთქმელი მწვანე და ეკო ქალაქის გარდაქმნის პროცესში და ასევე მნიშვნელოვანი იქნება ყველა იმ ბიზნეს სექტორის ჩართულობა რაც განაპირობებს მწვანე ეკონომიკის განვითარებას ქალაქში რადგან მნიშვნელოვნად მცირდება ამ დროს ბუნებრივი რესურსების არაეფექტური გამოყენება, ნარჩენების წარმოქმნა, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევები და წყლის ობიექტებში გაუწმენდავი წყლის ჩაშვებები, ეს ყოველივე მიიზიდავს მწვანე ინვესტიციებს და შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს.

4. შეგიძლიათ გაიხსენოთ სხვა ქალაქი (საქართველოში ან მის გარეთ) (რომელიც შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს ქუთაისისთვის? რატომ აირჩიეთ ეს ქალაქი?

პასუხი

ანალოგი ქალაქი, როგორიცაა დიდი მანჩესტერი, მომავალზე ორიენტირებული ეკო-ქალაქია, რომელიც აძლიერებს მის ბუნებრივ და განაშენიანებულ გარემოს, 55%-ით ამცირებს ნახშირბადის გაფრქვევებს 2022 წლისთვის. დიდი მანჩესტერის დაბალ

ნახშირბადიანი საცხოვრისის მოდერნიზაციის სტრატეგია განსაზღვრავს რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ თითქმის 1,2 მილიონი სახლის მოდერნიზებამ წვლილი შეიტანოს ნახშირბადის გაფრქვევის შემცირებაში. ეკო-ქალაქის საზოგადოებრივი სარგებელი მიღწევადია სუფთა ენერგიის შექმნით, ნახშირბადის ემისიებისა და ეკოლოგიური ნაკვალევის შემცირებით, 80%-ით შეამციროს სათბური გაზების ემისიები 2050 წლისთვის.დიდი მანჩესტერის მოდერნიზაციის დღის წესრიგის შემუშავება განიხილება, როგორც კერძო ინვესტიციების მოზიდვის საშუალება ქალაქ-რეგიონისთვის, როგორც ეროვნული პრიორიტეტების რეალიზაციის საცდელი პოლიგონი.ამ შემთხვევაში, ეკო-ქალაქის განვითარებას განაპირობებს საზოგადოებრივი და კერძო ინტერესთა კომბინირება, რომელიც მიმართულია ეროვნული მიზნებისკენ და მუშაობს არსებული დიდი საბინაო ფონდის საშუალებით, რომელიც საჭიროებს განახლებას.

შპს ,,ეკობინა“

ექსპერტი ზ.დოლენჯაშვილი

592005455

კითხვები გარემოს დაცვის დარგის ექსპერტებისთვის

რამაზ კილაძე	აწსუ	577247004

1. თქვენი აზრით ქართველობისში რა პრობლემების ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიის ან მდგრადობის თვალსაზრისით? (ნარჩენები, დაბინძურება, სუფთა წყალი, განახლებადი ენერგია და საწვავი, ორგანული საკვები, მწვანე სივრცეები ქალაქში, ბუნებრივი ჰაბიტატების და სახეობების გაქრობა და სხვა....)
   პრობლემა ბევრია, გამოგყოფდი ქალაქში გამწვანების საკითხში არსებულ გამოწვევებს.
2. რა ნაბიჯები უნდა გადადგას პირველრიგში ქალაქმა რათა სმარტ ეკოქალაქი გახდეს? (ცხადია რესპონდენტს ბევრი რამის ჩამოთვლა შეუძლია, მაგრამ დარწმუნდითრომ ძირითადსაკითხებს ახსენებს)
   შესამუშავებელია ქალაქის გამწვანების გენერალური გეგმა.
3. ქართველობისში რომელი ბიზნეს სექტორებს აქვთ უფრო პოტენციალი მწვანე გარდაქმნის გაძლოლისთვის?
   სამშენებლო კომპანიებსა და ავტოგასამართ სადგურების მეპატრონეებს.
4. შეგიძლიათ გაიხსენოთ სხვა ქალაქი (საქართველოში ან მის გარეთ) (რომელიც შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს ქართველობისისთვის? რატომ აირჩიეთეს ქალაქი?
   ქალაქი თბილისი. ის საუკეთესო მაგალითია ჩვენი უახლესი წარსულიდან რომელმაც შეძლო მნიშვნელოვნად დაეუჯობესა ალბეგის პირს მყოფი გამწვანების სფეროში არსებული პრობლემები.

კითხვები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის

1. თქვენი აზრით ქალაქში რა პრობლემებია ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიის ან მდგრადობის თვალსაზრისით? (ნარჩენები, დაბინძურება, სუფთა წყალი, განახლება და ენერგია დასაწვავი, ორგანული საკვები, მწვანე სივრცეები ქალაქში, ბუნებრივი ჰაბიტატების და სახეობების გაქრობა და სხვა....)

   პრობლემები შეიძლება რამდენიმე მიმართულებითგამოყოთ ა) ჰაერის დაბინძურება დაბალ ხარისხის საწვავის გამო, ზოგად ეკოლოგიური პრობლემების გამო, არასწორად უპასუხისმგებლობა სამშენებლოდ სხვა სახის ნარჩენების გამო ბ) მიუხედავად მცდელობისა, რომ იყოს მეტი სკვერი, ქალაქში თანდათან იკლებს მწვანე სივრცეები, რომელიც გამოწვეულია ხეების ჭრით, სკვერების ძირითადად ბეტონის საფრის დაფრვითდა ბალახების გაქრობით

2. შეგიძლია თმოყვანოთ თქვენი ორგანიზაციის/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გარემოსდაცვითი ლონისძიების კამპანიისმაგალითი, რომელიც ეხებოდა ადგილობრივ მოსახლეობაში? რომელმა ცვლილებამ გამოწვია ახალში?

   ორგანიზაციამ „უფლებებისა და განათლებისათვის“ ჩაატარა არაერთი გარემოსდაცვითი ლონისძიება, მათშორის იყო გამოფენა „ დედა ჰესების ზეგავლენა გარემოზე“, ასევე რადიოდ ტელე გადაცემები, მრგვალ მაგიდა. (24/09-26/09 2020 წ.)

   „შევაჩერეთ ჰაერის დაბინძურება-თამაში პერფორმანსი ახალგაზრდებისთვის“ (25/09-25/09-2021 წ) გარდ ამისა, ორგანიზაცია „უფლებებისა და განათლებისათვის“ აქტიურ მონაწილეობას იღებს სხვადასხვა გარემოსდაცვით ეკოლოგიურ შემეცნებით კონფერენციებში, ტრენინგებსა და სემინარებზე.

   პირადადმე, ქეთევან ბერძენიშვილი ვარინიცატივის „2 დეკემბერი მდინარე რიონის დაცვის დღე“ ავტორი, რომელიც 2017 წელს დაფუძნდა.

3. მოსახლეობისრომელ ჯგუფთგან უფლებიდასაუბეთუსოდ მარტოკოალქადარქმნისპროცესს? (ახალგაზრდები, ასაკოვანიადამიანები, ბიზნესი, მასწავლებლები, ხელოვნებისმუშაკები, აქტივისტები, მშობლებიდასხვა) რატომესჯგუფი?

   ვფიქრობ შერეული ჯგუფი, რომელსაც ექნება სურვილი, გამოცდილება და შესაძლებლობა.

4. შეგიძლია თგაიხსენოთ ხვა ქალაქი (საქართველოშიანმისგარეთ) (რომელიშესაძლო კარგიმაგალითიყოფილიყოს? რატომაირჩიეთუსქალაქი?

   პოლონეთის ქალაქი ვროცლავი.

   აღნიშნულქალაქში კარგადქვეთგაა ზრუბული არასამთავრობო სამოქალაქოსექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების კოლაბორაცია, რაც ქმნის იდეების შემუშავების, პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტისა და მონიტორინგის კარგ შედეგებს. სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მათშორის 50+ ადამიანების მონაწილეობით დაფუძნებული მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ საჭიროებათა კვლევაზე და გადაჭრის გზებზე.

1.არასამთავრობო ორგანიზაცია „ თაობათა დიალოგი“

1. თქვენი აზრით ქუთაისში რა პრობლემებია ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიის ან მდგრადობის თვალსაზრისით? (ნარჩენები, დაბინძურება, სუფთა წყალი, განახლებადი ენერგია და საწვავი, ორგანული საკვები, მწვანე სივრცეები ქალაქში, ბუნებრივი ჰაბიტატების და სახეობების გაქრობა და სხვა....)

ვფიქრობ, რომ ქუთაისს ეკოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ ბევრი გამოწვევები აქვს. კერძოდ, ქუთაისს გააჩნია მრავალი დოკუმენტები ეკოლოგიის მიმართულებით თუმცა მათი სამოქმედო გეგმის მიხედვით შესრულება არ ხდება, გარდა ამისა გამოწვევები გვაქვს მონიტორინგის მიმართულებითაც. ქუთაისს არ გააჩნია ასევე გარემოსდაცვითი სტრატეგია, რომელიც ვფიქრობ რომ ქალაქს დაეხმარება ყველა ეკოლოგიური გამოწვევების გადაჭრაში. ქუთაისში კვლავ გამოწვევად რჩება ისეთი გარემოსდაცვითი საკითხები როგორებიცაა: სასმელი წყალი, საკანალიზაციო სისტემების გამართულობა და ჰაერის დაბინძურება. გამოწვევები გვაქვს მწვანე ზონების მიმართულებითაც, რომელიც ძალიან ცოტა რაოდენობის არის ან/და ფართობის მიხედვით ძალიან მცირეა.

2. შეგიძლიათ მოიყვანოთ თქვენი ორგანიზაციის/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიების კამპანიის მაგალითი, რომელიც პოპულარული გახდა ადგილობრივ მოსახლეობაში? რომელმაც რეზონანსი გამოიწვია ხალხში?

სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბის "თაობათა დიალოგი" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ეკოლოგია და იგი ანხორციელებს არაერთ პროგრამასა და პროექტს ამ მიმართულებით. ძირითადი მიზანი ჩვენ მიერ განხორიელებული პროექტების გახლავთ ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი საკითხების მიმართულებით. "თაობათა დიალოგმა" არაერთი მნიშნელოვანი პროექტი განახორციელა, მათ შორისაა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის შესახებ, მერების შეთანმების მონიტორიგნი და შეფასება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მაგალითზე.RICDOG პარტნიორობითა და ჩართულობით ხელი მოაწერა 350.org თან 2050 წლისათის 100% განახლებადი ენერგიის წყაროებზე გადასვლის მემორანდუმს. მემორანდუმის საფუძველზე შემუშავდა გადასვლის სცენარი, რომელიც მერიას მიეწოდა. გარდა ამისა ორგანიზაციამ პირველად საქართველოში გააკეთა ენერგოდამზოგავი მოწყობილობა, ველოსიპედი, რომელიც სტატიკურ მდგომარეობაში მობილური ტელეფონების დამუხტვას უზრუნველყოფდა. 2018-2019 წლებში RICDOG მოაწყო მარში კლიმატისთვის რომელსაც 2000მდე ადამიანი ესწრებოდა, მარშის მთავარი მიზანი გახლდათ კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის განახლებად ენერგიაზე გადასვლის მნიშვნელობის აუცილებლობა. ეს იყო ყველაზე

მასშტაბური აქცია ქუთაისში. გარდა ამისა, RICDOGის ორგანიზებით მრავალი დასუფთავების აქცია ეწყობა წლიდან წლამდე.
2009 წლიდან RICDOG არის წარმომადგენლობითი ორგანიზაცია საქართველოში კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ საერთაშორისო მოძრაობა 350.org; 2017 წლიდან RICDOG არის Climate Action Network (CAN) წევრი;

3. მოსახლეობის რომელი ჯგუფი გაუძღვებოდა საუკეთესოდ სმარტ ეკო ქალაქად გარდაქმნის პროცესს? (ახალგაზრდები, ასაკოვანი ადამიანები, ბიზნესი, მასწავლებლები, ხელოვნების მუშაკები, აქტივისტები, მშობლები და სხვა) რატომ ეს ჯგუფი?
ვფიქრობ რომ სმარტ ეკო ქალაქად გარდაქმნის პროცესს შესაბამისი დარგის ექსპერტები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების(რომლებიც მუშაობენ ღნიშნული მიმართლებით) ერთობლივი მუშაობა დადებს საუკეთესო შედგებს. გარდამტეხი მნიშვნელობა სმარტ ეკო ქალაქად გარდაქმნის პროცესში ასევე ენიჭება ახალგაზრდებს, რომლებსაც ყველაზე მეტად გააჩნიათ სიახლეების მიმართ მიმღებლობა, არიან ახალ ტექნოლოგიებში გათვითცნობიერებულნი და არიან ყველაზე მეტად ინოვაციურებიც.

4.შეგიძლიათ გაიხსენოთ სხვა ქალაქი (საქართველოში ან მის გარეთ) (რომელიც შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს ქუთაისისთვის? რატომ აირჩიეთ ეს ქალაქი?

ამსტერდამი. ამ ქალაქმა შემოიტანა ენერგიის მართვის ინოვაციური პროექტები ჯერ კიდევ 2009 წელს, ელექტრო მანქანების, მზის პანელების და საყოფაცხოვრებო ქარის ტურბინების ახალი ელექტრომომარაგებით და კვლავ მუშაობს 2025 წლისთვის ემისიების 40%-ით შემცირებაზე.

2. ნუგზარ კოხრეიძე - კლიმატის სამოქმედო ქსელი Climate Action Network

1. ქუთაისს გააჩნია მრავალი დოკუმენტი ეკოლოგიური საკითხების ხედვებთან დაკავშირებით, თუმცა უკვე მრავალი წელია არ არის მიღებული გარემოსდაცვითი სტრატეგია, რომელიც შემუშავებულია უკვე დიდი ხანია. გარემოსდაცვითი საკითხების მიმართულებით ქალაქის პრობლემებია ხარისხიანი სასმელი წყალი, საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება და გაკეთება, ძირითადად ტრანსპორტით გამოწვეული ჰაერის დაბინძურება, მწვანე ზონების ნაკლებობა და არაენერგოეფექტური შენობები. ცალკე საუბრის თემაა ეკოკულტურის დაბალი დონე მოსახლეობაში.
2. მრავალი წელია CAN EECCA, 350.org თან და ადგილობრივ პარტნიორთან RICDOG თან ერთად, გლობალურ ეკოლოგიურ აქციებს მართავს. ერთ-ერთი კლიმატის მარშის დროს ქალაქ ქუთაისმა ხელი მოაწერა 350.org თან 2050 წლისათის 100% განახლებადი

ენერგიის წყაროებზე გადასვლის მემორანდუმს. მემორანდუმის საფუძველზე შემუშავდა გადასვლის სცენარი, რომელიც მერიას მიეწოდა. ეს იყო ყველაზე მასშტაბური აქცია ქუთაისში. გარდა ამისა, მოეწყო მრავალი დასუფთავების აქცია, ახალგაზრდობის პარკში გაკეთდა ენერგოდამზოგავი ველოსიპედები, რომლებიც დღეს დაზიანებულია არასწორი მოხმარების გამო. თუმცა ყველა ეს აქცია პოპულარობით სარგებლობდა მოსახლეობაში და საჭიროებს გაგრძელებას. მნიშვნელოვანია რომ ქალაქში ასევე წარმატებით დამკვიდრდდა დიფირენცირებული ნარჩენების მართვა და სეპარირების მიმართულებით გადაიდგა წარმატებული ნაბიჯები, რაც ასევე უნდა იყოს შენარჩუნებული და გაძლიერებული ახალ სტრატეგიაში.

3. სმარტ ქალაქის კონცეფციის დანერგვას მოსახლეობის ყველა სეგმენტის თანაბარი ჩართულობა ჭირდება, თუმცა ძირითადი ლოკომოტივი შეიძლება გახდნენ ახალგაზრდები. სიახლეების მიმღებლობა, ახალი ტექნოლოგიებში გათვითცნობიერებულობა და მზაობა ინოვაციების მიმართ უფრო მაღალია საზოგადოების ამ ნაწილში.
4. სამწუხაროდ ასეთი ქალაქები იყო უკრაინაში, რომლებიც ყველა დღეს დაბომბილია. მაგალითისთვის ერთ-ერთია პოლტავა, რომელმაც აირჩია სრულად გადავიდეს განახლებად ენერგიებზე და საამისოდ განახორციელა ქალაქის მოდერნიზაცია. ასევე კარგ მაგალითად გამოდგება ქალაქი ლვოვი, რომელმაც მრავალი სმარტ ტექნოლოგია დანერგა.